

სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკის და

დიზაინის ფაკულტეტი

ბრძანება

10.04.2018 წ. № 05/06

თბილისი

სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევნების შესახებ

სტუ–ს სადისერტაციო საბჭოს და დოქტორანტურის დებულების(დადგენილება 2012 წლის 26 ივნისის №704), დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევნების ჩატარების წესის შესაბამისად (16.12.13, №1016)

ვბრძანებ

- 1.2018 წლის 25 აპრილს ჩატარდეს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევნები.
2. საარჩევნო სიაში შეყვანილ იქნეს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ყველა წევრი.
- 3.განცხადება დადგენილი წესის შესაბამისად გამოიკრას ფაკულტეტის თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს ფაკულტეტის ვებ-გვერდზე 2018 წლის 11 აპრილს www.gtu.ge/Arch/
4. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2018 წლის 17 აპრილს და გაგრძელდეს 2018 წლის 24 აპრილის ჩათვლით, ყოველ დღე (გარდა კვირა დღისა) 10.00–დან 17.00 საათამდე.
5. კანდიდატთა რეგისტრაცია ჩატარდეს ფაკულტეტის №306 ოთახში და დაევალოს პროფესორ ვახტანგ ფირცხალავას.

3. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს 2018 წლის 25 აპრილს ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე და ვებგვერდზე www.gtu.ge/Arch/

6. რეგისტრაციაში გატარდეს ნებისმიერი კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

1. ერთი და იგივე პირი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ ზედიზედ შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ ორჯერ;

2. კანდიდატი უნდა იყოს სტუ-ს აკადემიური პერსონალი.

კანდიდატთა მიერ წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა

1. განცხადება

2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

3. მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ (CV);

4. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლი;

5. აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების ასლი;

6. ცნობა აკადემიური თანამდებობის დაკავების შესახებ.

7. არჩევნები ჩატარდეს ფაკულტეტის №407 ც აუდიტორიაში 2018 წლის 25 აპრილს 12 საათზე.

8. დაინიშნოს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომა 2018 წლის 25 აპრილს 12 საათზე №407 ც აუდიტორიაში.

8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს პროფესორ ვახტანგ ფირცხალავას.

არქიტექტურის, ურბანისტიკის და

დიზაინის ფაკულტეტის დეკანი

ნ. იმნაძე

